ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3112304

ნომერი: AR1478077

თარიღი : 16.02.2017

გაცემის თარიღი : 23.02.2017

გაცნობის თარიღი : 23.02.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჯიქია , N 7 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ჯიქია , N 7 ; ქალაქი თბილისი , ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა , N 40 ; ქალაქი თბილისი , ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N38 ; ქალაქი თბილისი , ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N36 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან აფციაური პ/ნ 01019000173
- თბილისი ს.მგალობლიშვილის ქ. N 3 ბ. 35

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ჯიქია ქ. N7-ში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. N38-ში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. N36-ში და ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. N40-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 16 სექტემბრის N2006 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის და გეგმარებითი დავალების გაუქმებას, გაცნობებთ, რომ საჭიროა წარმოადგინოთ მიწის ნაკვეთების (ს/კ NN01.14.05.008.195; 01.14.05.008.194) მესაკუთრეების შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა ზემოხსენებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ, რის შემდგომაც სამსახურს შესაძლებლობა მიეცემა საკითხი განსახილველად გაიტანოს „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს“ სხდომაზე.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.